

## თავი 4 . ხელშეკრულებები

### შინაარსი

- ❖ სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობები;
- ❖ ნასყიდობის ხელშეკრულება;
- ❖ ქირავნობის ხელშეკრულება;
- ❖ ლიზინგის ხელშეკრულება;
- ❖ იჯარის ხელშეკრულება;
- ❖ ფრენშიზინგის ხელშეკრულება;
- ❖ სესხის ხელშეკრულება;
- ❖ გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულება;
- ❖ სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულება;
- ❖ ინტელექტუალური სამართლის ზოგადი მიმოხილვა;
- ❖ შუამავლობის ხელშეკრულება.

## 4 . 1 . სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობები

### თემის შინაარსი:

- ხელშეკრულების არსი და ფორმა;
- მხარეები ხელშეკრულებაში და მათი უფლება მოვალეობები;
- ხელშეკრულების სხვადასვა პირობები.

### მიზანი:

- გავეცნოთ ხელშეკრულების არსს და ფორმას;
- ასევე გავეცნოთ თქვენი სტატუსის მიხედვით თქვენს უფლება-მოვალეობებს.

ხელშეკრულება – გარიგების ერთ- ერთი სახეა. უფრო კონკრეტულად კი ხელშეკრულება არის მინიმუმ ორ მხარეს შორის ურთიერთობა, რომლებიც ნების გამოვლენის საფუძველზე და კანონის ფარგლებში თანხმდებიან კონკრეტულ საკითხებზე, თუმცა კანონით დაიშვება ისეთი სახის ხელშეკრულების დადებაც, რომლებიც თუმცა არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.

### (იხ. საქ. სამქ. კოდ. მ.319(1)).

სახელშეკრულებო სამართლებრივ ურთიერთობებში არსებობს 2 ასპექტი:

- 1) ხელშეკრულების დადების ვალდებულება – “ხელშეკრულების მხარეს, რომელსაც დომინირებული მდგომარეობა უჭირავს ბაზარზე, ეკისრება ხელშეკრულების დადების ვალდებულება. მას არ შეუძლია კონტრაქტს უსაფუძვლოდ შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები.

### (იხ. საქ. სამქ. კოდ. მ.319 (2))

ასევე, იმ პირებს რომელიც არასამეწარმეო მიზნებისათვის ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იძენენ ან სარგებლობენ ქონებითა და მომსახურებით, დასასაბუთებლად არ შეიძლება ვთქვათ უარი ხელშეკრულების დადებაზე.

სხვა ტიპის ხელშეკრულებისათვის კანონი სხვადასხვა ფორმას განსაზღვრავს:

- **ზეპირი**
- **წერილობითი**

**მაგ:** თუ გავიხსენებთ ”საკუთრების” საკითხს, ვნახავთ, რომ კანონი უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემისათვის ითხოვს გარიგების “წერილობით” ფორმას, რაც იმას ნიშნავს, რომ ზეპირი ფორმით განხორციელებულ ამ გარიგებას არ ექნება იურიდიული ძალა.

თუმცა, სადაც კანონი საკმარისად განსაზღვრავს გარიგების ფორმად **ზეპირს**, იგულისხმევა, რომ იმ კონკრეტული გარიგებისათვის ზეპირად განხორციელებული გარიგებაც კი მოიტანს სამართლებრივ შედეგს.

### (იხ. საქ. სამქ. კოდ. მ. 328(1))

2) ხელშეკრულების დადების თავისუფლება - კანონის ფარგლებში სუბიექტებს შეუძლიათ თავისუფლი ნების გამოვლენით დადონ ხელშეკრულებები და თავადვე განსაზღვრონ მისი შინაარსი.

(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ. 319(1))

ხელშეკრულების არსიდან კარგად ჩანს, რომ აუცილებელია მხარეებს შორის შეთანხმება და ორივე მხარის მიერ ნების გამოვლენა, რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სამოქალაქო კოდექსის 327 –ე მუხლის პირველი ნაწილი”.

▲ “ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობებზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით” ▼

სახელშეკრულებო ურთიერთობებს ახასითებს ისეთი იურიდიული ტერმინები, როგორცაა:

- ოფერტი (შეთავაზება);
- აქცეფტი (თანხმობა).

აღსანიშნავია, რომ აქცეფტი შეიძლება გამოხატულ იქნეს ღუმელის ფორმითაც, თუმცა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მაგ: თუ მეწარმე, რომელიც სხვა პირთან ეწევა საქმიან ოპერაციებს, მიიღებს ოფერტს, ამგვარი საქმეების შესრულებაზე იმ პირისაგან, მაშინ იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში უპასუხოს მას. მისი ღუმელი ჩაითვლება აქცეფტად.

(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ.335 (1)).

მრავალე აქცეფტანტის შემთხვევაში ოფერენტს შეუძლია გამოიყენოს – „ხელშეკრულების სტანდარტული პირობები”, რაც ნიშნავს რომ აღნიშნული პირობები არის:

- წინასწარ ჩამოყალიბებული;
- მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული.

თუკი მხარეები პირადად შეთანხმდებიან პირობებზე, მას უპირატესობა ექნება სტანდარტული პირობებთან.

(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ.342)

ასეთი სახის ხელშეკრულებაში ტექსტი ბუნდოვანია, მაშინ იგი განიმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ.

(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ.345)

როდესაც მხარეები უარს ამბობენ ხელშეკრულებაზე, მაშინ მხარეებს უბრუნდებათ შესრულება და სარგებელი.

(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ.352 (1)).

ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით.

(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ.355).

მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულებიდან გასვლა, თუმცა უნდა შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები.

## 4 . 2 . ნასყიდობის ხელშეკრულება

### თემის შინაარსი:

- ნასყიდობა და მისი საგანი;
- მყიდველის და გამყიდველის უფლება – მოვალეობები;
- ნივთის შეძენის წესები.

### მიზანი:

- მიიღოს ინფორმაცია სამოქალაქო სამართალში ნასყიდობის შესახებ;
- გამყიდველისა და მყიდველის უფლება – მოვალეობები;
- ნახოთ, რა მოთხოვნებს უყენებს კანონი ნასყიდობის საგანს – ნივთს.

ნასყიდობა საზოგადოებრივი ურთიერთობისა და ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი არსის ზუსტად გაგება – ეკონომიკური ხასიათის ურთიერთობებში. რა ჩაითვლება შეძენად და როდის ჩავთვალოთ ეს ურთიერთობა განხორციელებულად. სწორედ ამაზეა დამოკიდებული ინფორმაციის სწორი და დროული ასახვა. (მაგ: ფინანსურ ანგარიშგებაში).

ნასყიდობას, როგორც ხელშეკრულების ერთ-ერთ სახეს, ახასიათებს ის ნიშნები, რაც ზოგადად სხვა ხელშეკრულებებს:

- მინიმუმ ორი მხარე;
- მხარეთა შეთანხმება;
- სასყიდლიანობა.

ნასყიდობა შეიძლება განხორციელდეს ძირითადად: ქონების, საქონლის, ნივთების, მაგრამ არა ფულის.

ნასყიდობის ხელშეკრულებით:

### გამყიდველი მოვალეა:

- მყიდველს გადასცეს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები; მიაწოდოს საქონელი  
*(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ.477(1))*
- გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი;  
*(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ.487)*
- ანაზღაუროს ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია გაყიდული ნივთის გადაცემასთან (აწონვა, გაზომვა და შეფუთვა).  
*(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ. 478)*
- მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ნივთის გაყიდვისას, გამყიდველს ეკისრება: გაფორმების, რეგისტრაციის და საბუთების წარდგენის ხარჯები, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.  
*(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ. 479)*

**მყიდველი მოვალეა:**

- გამყიდველს გადაუხადოს შეთანხმებული ფასი;  
**(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ. 477)**
- მიიღოს ნაყიდი ქონება;  
**(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ.477(2))**
- იკისროს ხელშეკრულების დადების ადგილიდან სხვა ადგილზე საქონლის მიღებისა) და გაგზავნის ხარჯები;  
**(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ. 478)**
- თუ მყიდველი მეწარმეა, ის ვალდებულია შეამოწმოს ნივთი.  
**(იხ. საქ. სამქ. კოდ. 495(1))**

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ, გაყიდული ნივთის გადაცემისას – მყიდველზე გადადის ნივთის დაღუპვის ან გაფუჭების რისკი, თუკი მხარეებს სხვა შეთანხმება არააქვთ. თუმცა თუკი ისეთი შემთხვევაა, როდესაც გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გაგზავნის სხვა ადგილას, ვიდრე ეს ხელშეკრულებაში იყო გათვალისწინებული, მაშინ ნივთის შემთხვევით დაღუპვის და გაფუჭების რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როცა გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდველს ან მის შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს.

**(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ.482)**

ნასყიდობის საგანი – ნივთი უნდა იყოს უნაკლო:

- **ნივთობრივად** – შეთანხმებული ხარისხის ან ვარგისი უნდა იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისთვის.

ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება ასევე, თუკი გამყიდველი გადასცემს:

- ნივთს მხოლოდ ერთ ნაწილს;
- სულ სხვა ნივთს;
- მცირე რაოდენობით;
- თუ ნივთის ნაწილი ნაკლის მქონეა.

**(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ. 488)**

- **უფლებრივად** – როდესაც მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო.

ნაკლს უთანაბრდება - თუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია არარსებული უფლება.

**(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ. 489)**

იმ შემთხვევაში თუკი გაყიდულ ნივთს ნაკლი აღმოაჩნდება, გამყიდველი ვალდებულია:

- გამოასწოროს ნაკლი; ან
- გამოუცვალო ნივთი; ან
- შეუმციროს ფასი.

ნასყიდობის ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი პირობები:

- ნასყიდობის გადახდას განვადებით, რომელიც აუცილებლად წერილობითი ფორმის უნდა იყოს;
- ნასყიდობას ნივთის მოწოდების პირობით, თუ შეთანხმებულ ვადაში არ დაიწუნებს;
- გამოსყიდვას (თავდაპირველი ფასით) – ხანდაზმულობა 10 წელი;
- უპირატესი შესყიდვის უფლება, რომელიც არც სხვა პირს გადაეცემა და არც მემკვიდრეობით გადადის.

სახელშეკრულებო ურთიერთობისას, მხარეებს შეიძლება მოუწიოთ საერთაშორისო ხელშეკრულებების ჩართვა. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება – “საერთაშორისო სავაჭრო ტრადიციებს”.

ქვეყნებს შორის კომერციული კავშირების დამყარებისას საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებად მიიჩნევა ისეთი ხელშეკრულება, რომლისთვისაც დამახასიათებელია უცხოური ელემენტის მონაწილეობა.

უცხოური ელემენტის მონაწილეობით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება საერთაშორისო კონვენციით დადგენილი ნორმები.

საერთაშორისო სავაჭრო პალატამ დაადგინა სავაჭრო ტერმინების განმარტება, იგივე – “ინკოტერმსი” (საერთაშორისო სავაჭრო ტერმინები), რომელსაც დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვთ ნასყიდობის ხელშეკრულებაში “ინკოტერმსი” მოიცავს ისეთი საკითხებს, როგორცაა: ფასის განსაზღვრა, საქონლის სათანადოდ შეფუთვის უზრუნველყოფა, დაზღვევის საკითხები და ა. შ.

მაგალითად მოვიყვანოთ საერთაშორისო სავაჭრო ტერმინთა მცირე ჩამონათვალი:

- **CIP – Carriage and Insurance Paid to** – გადაზიდვისა და დაზღვევის ხარჯები გადახდილია მიტანის (დანიშნულების) შეთანხმებულ ადგილამდე;
- **DAF – Delivered at Frontier** – საქონლის მიწოდება საზღვარზე პუნქტის მითითებით;
- **DDP – Delivered Duty Paid** – მიწოდება დანიშნულების ადგილას მოსაკრებლების (გადასახადის) გადახდით”.

## 4 . 3 . ქირავნობის ხელშეკრულება

**თემის შინაარსი:**

- ქირავნობა და მისი არსი;
- ნივთი ქირავნობაში;
- მხარეთა უფლება-მოვალეობები.

**მიზანი:**

- გაეცნოთ რა სახის ურთიერთობაა – ქირავნობა;
- ასევე გაეცნოთ მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებს;
- ნახოთ რა ნიშნავს ქვექირავნობა.

ქირავნობა ეს არის ნივთის გადაცემა სარგებლობაში განსაზღვრული ვადით, რომელიც ანაზღაურებადი უფლებაა.

სამოქალაქო კოდექსი შემდეგნაირად განსაზღვრავს მას:

**△ ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა** ▽

(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ.531)

განმარტებიდან კარგად ჩანს – “ქირავნობის” ხელშეკრულების დამახასიათებელი ნიშნები:

- ნივთის სარგებლობაში გადაცემა;
- გარკვეული ვადით;
- შესაბამისი ანაზღაურებით (სასყიდლიანი).

ისევე როგორც “ნასყიდობის ხელშეკრულებაში”, ქირავნობაშიც ითხოვს კანონი, რომ ნივთი იყოს უნაკლო, ნივთობრივად და უფლებრივად ამ ხელშეკრულებისთვის კი აღნიშნულ ტერმინებს აქვთ შემდეგი განმარტება:

- გაქირავებული ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ მას აქვს დათქმული თვისებები. თუ ეს თვისებები არ არის დათქმული, მაშინ გაქირავებული ნივთი მიიჩნევა უნაკლოდ, იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის;
- გაქირავებული ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს დამქირავებელს მოთხოვნები ამ ნივთის გამო.

კანონი ქირავნობის ხელშეკრულებაში აძლევს გაფრთხილებას დამქირავებელს, რომლისთვისაც ცნობილია ნივთის ნაკლის შესახებ ინფორმაცია, მაგრამ არ განაცხადებს პრეტენზიას შემდეგ მას აღარ აქვს უფლება მოითხოვოს ქირის შემცირება.

(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ. 538)

ასევე თუკი დამქირავებელი გაწევს რაიმე სახის ხარჯს ნივთზე, გამქირავებელი ვალდებულია აუნაზღაუროს მას ასეთი ხარჯი.

(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ. 545 (1))

ზოგადად დამქირავებელს, უფლება აქვს დაიცვას თავისი მფლობელობა დამრღვევისაგან, მათ შორის მესაკუთრისაგანაც.

(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ. 575)

ქირავნობის ხელშეკრულების ნორმები ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ დამქირავებელს ჰქონდეს უფლება გამქირავებლის თანხმობით ნივთი გადასცეს მესამე პირს (მესამე პირად ჩაითვლება დამქირავებლის ოჯახი წევრები) იგივე სარგებლის უფლებით რასაც ეწოდება **ქვექირავნობა**.

(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ. 549)

თუ ქირავნობა ეხება მიწის ნაკვეთს და მისი ვადა აღემატება 1 წელს, აუცილებლად უნდა გაფორმდეს **წერილობით**. თუ ასეთი ფორმა არ იქნება დაცული, მაშინ ივარაუდება, რომ ხელშეკრულება განსაზღვრული ვადითაა დადებული.

(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ. 569)

## 4 . 4 . ლიზინგის ხელშეკრულება

### თემის შინაარსი :

- ლიზინგის ხელშეკრულების შინაარსი ;
- მხარეები და მათი უფლება-მოვალეობები ლიზინგის ხელშეკრულებაში.

### მიზანი :

- გავეცნოთ ლიზინგის ხელშეკრულების განსხვავებულ ბუნებას;
- ასევე გავეცნოთ მხარეთა უფლებებს და ვალდებულებებს.

ლიზინგის ხელშეკრულება მომდინარეობს ინგლისური სიტყვა ლიზ-ისაგან, რაც ქონების დროებით გადაცემას ნიშნავს.

აღნიშნული ხელშეკრულება XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა აშშ-ში, როგორც ეკონომიკაში ფულადი სახსრების ინვესტირების სრულიად ახალი ფორმა, რის შემდეგაც უკვე XX საუკუნეში იგი დამკვიდრდა დასავლეთ ევროპაშიც.

**▲ ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებულია ლიზინგის მიმღეს სარეგლობაში გადასცეს განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით, ამ ქონების შესყიდვის უფლებით ან ასეთი უფლების გარეშე, ხოლო ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით. ▼**

### (იხ. საქ. სამქ. კოდ. მ. 576(1))

ამ ხელშეკრულებით:

- ლიზინგის გამცემი (პოტენციური მომწოდებელი) ვალდებულია ლიზინგის მიმღეს სარეგლობაში გადასცეს განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით, ამ ქონების შესყიდვის უფლებით ან ასეთი უფლების გარეშე;

### (იხ. საქ. სამქ. კოდ. მ.576(1))

- ასევე, სალიზინგო კომპანია ვალდებულია მიმღეს დაუთმოს ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნა მომწოდებელთან;

### (იხ. საქ. სამქ. კოდ. მ.577(2))

- ლიზინგის მიმღები განსაზღვრავს ქონებას და ირჩევს მომწოდებელს;

### (იხ. საქ. სამქ. კოდ. მ. 576(1-ბ))

- როდესაც ლიზინგის გამცემი არღვევს თავის ვალდებულებებს, მიმღები უფლებამოსილია მოითხოვოს მხოლოდ ზიანის ანაზღაურება და არა ხელშეკრულების მოშლა;

### (იხ. საქ. სამქ. კოდ. მ.580'5)

- ლიზინგის მიმღეს არა აქვს უფლება მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა ლიზინგის საგნის მიღების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ვერ ახდენს მფლობელობის განხორციელებას ან ხდება მფლობელობის უფლების შეზღუდვა.

### (იხ. საქ. სამქ. კოდ. მ.580'5)

ლიზინგის ხელშეკრულების საგანი არ შეიძლება იყოს: ფული, ფასიანი ქაღალდი, წილი ან პაი სააქციო საზოგადოებაში.

(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ. 576 (4))

## 4 . 5 . იჯარის ხელშეკრულება

### თემის შინაარსი:

- იჯარის ხელშეკრულება და მისი თავისებურება;
- იჯარის ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა უფლებები და ვალდებულებები;
- იჯარის ხელშეკრულების მოშლის პირობები;
- სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარა.

### მიზანი:

- გაეცნოთ იჯარის ხელშეკრულების განსხვავებულ ხასიათს სხვა მსგავსი ხელშეკრულებებისგან;
- დააკვირდეთ მეიჯარის განსხვავებულ ვალდებულებებს;
- გაეცნოთ სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარას.

„იჯარის ხელშეკრულება“ გარეგნული გამოხატულებიდან ძალიან გავს „ქირავნობის ხელშეკრულებას“, თუმცა მათ შორის განსხვავებაა.

სამოქალაქო კოდექსი იჯარის ხელშეკრულებას შემდეგნაირად განსაზღვრავს:

▲ *იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძლოის შედეგად შემოსავლის სახით.* ▼

(იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ. 581(1))

აღნიშნული განმარტება მხარეებს მოიხსენებს, როგორც:

- მეიჯარე – ქონების გამცემი;
- მოიჯარე – ქონების იჯარის ხელშეკრულებით მოსარგებლე.

ასევე კარგად ჩანს, რომ ხელშეკრულება არის:

- დროებითი;
- სარგებლის მიღების მიზნით;
- ნაყოფის მიღება უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.

### იჯარის ხელშეკრულებით:

- მეიჯარე ვალდებულია:
  - ✓ მოიჯარეს დროებით სარგებლობაში გადასცეს განსაზღვრული ქონება;

- ✓ საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახითაა მიღებული.

(იხ. საქ. სამოქ. კოდექსი მ. 581(1))

➤ მეიჯარე ვალდებულია:

- ✓ მეიჯარეს გადაუხადოს დათქმული საიჯარო ქირა ფულით, ნატურით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა საშუალებებით.

(იხ. საქ. სამოქ. კოდექსი მ. 581 (1))

- ✓ პასუხს აგებს მეიჯარის წინაშე ნივთის სხვაგვარი გამოყენებისთვის, ვიდრე ეს მეიჯარის მიერ იყო ნებადართული.

(იხ. საქ. სამოქ. კოდექსი მ. 587(3))

ქირავენობის მსგავსად (ქვექირავენობა), იჯარის ხელშეკრულებაც ითვალისწინებს „ქვეიჯარას“, რომელიც დაშვებულია მხოლოდ მეიჯარის თანხმობით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ „ქვემეიჯარე“ ნივთი „სხვანაირად“ არ გამოიყენოს, ვიდრე ეს მეიჯარის მიერ იყო ნებადართული.

(იხ. საქ. სამოქ. კოდექსი მ. 587 (1;3))

იჯარით შეიძლება გაიცეს მიწა და ნაგებობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებითაც, რაც ამ სფეროში მოღვაწე პირთათვის საკმაოდ კომფორტული ურთიერთობაა.

▲ **სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარისას ხდება მიწის ნაკვეთის სასოფლო-სამეურნეო მიზნით გადაცემა საცხოვრებელ ან სამეურნეო ნაგებობებთან საწარმოსთან ერთად ან ასეთი ნაგებობების გარეშე.** ▼

(იხ. საქ. სამოქ. კოდექსი მ. 592(1))

აღნიშნული ხელშეკრულება უნდა იყოს წერილობითი ფორმის, წინააღმდეგ შემთხვევაში ივარაუდება, რომ ის განუსაზღვრელი ვადითაა დადებული.

(იხ. საქ. სამოქ. კოდექსი მ. 593)

მხარეებმა საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას ერთობლივად უნდა შეადგინონ საიჯარო ქონების ნუსხა, რომელშიც აღინიშნება მისი ოდენობა და მდგომარეობა იჯარით გადაცემის მომენტიდან. იგივე წესი გამოიყენება საიჯარო ურთიერთობის დამთავრებისას. ნუსხას ხელს უნდა აწერდეს ორივე მხარე და მითითებული უნდა იქნეს მისი შედგენის თარიღი.

(იხ. საქ. სამოქ. კოდექსი მ. 594)

**მეიჯარეს უფლება აქვს მხოლოდ მოსავლის აღებაზე მოითხოვოს საიჯარო ქირის შემცირება (შესაბამისი პროპორციით), თუ იჯარის შედეგად წლიური მოსავლის ნახევარზე მეტი განადგურდა სტიქიური უბედურების ან სხვა ფორსმაჟორული გარემოებების შედეგად.**

(იხ. საქ. სამოქ. კოდექსი მ. 597)

მოიჯარეს შეუძლია მეიჯარეს საიჯარო ურთიერთობის გაგრძელება მოსთხოვოს თუ:

- მოიჯარესათვის აღნიშნული ურთიერთობა საარსებო საფუძველს წარმოადგენს;
- მიწის ნაკვეთი სასიცოცხლოდ აუცილებელია მოიჯარის მეურნეობის შესანარჩუნებლად და იჯარის მოშლა მოიჯარისა და მისი ოჯახისათვის იმდენად მტკივნეულია, რომ მას მოიჯარის პატივსადები ინტერესების გათვალისწინებითაც გამართლება არ აქვს.

(იხ. საქ. სამოქ. კოდექსი მ. 604)

საიჯარო წლად ითვლება კალენდარული წელი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდნენ.

(იხ. საქ. სამოქ. კოდექსი მ. 606(1))

საიჯარო ურთიერთობა შეიძლება მოიშალოს:

- საიჯარო ხელშეკრულების ვადის დასრულებით;
- საიჯარო წლის ბოლოს, მაგრამ წლის დასრულებამდე 1 თვით ადრე;

(იხ. საქ. სამოქ. კოდექსი მ.589(1,2))

- მოიჯარის გარდაცვალებით;

(იხ. საქ. სამოქ. კოდექსი მ.590 (1))

## 4 . 6 . ფრენშიზინგის ხელშეკრულება

თემის შინაარსი:

- ფრენშიზინგის ხელშეკრულების ნოვატორული ხასიათი;
- ფრენშიზინგის ხელშეკრულების წინასახელშეკრულებო, სახელშეკრულებო, და ხელშეკრულების შემდგომი პერიოდები;
- ფრენშიზინგის ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

მიზანი:

- გაეცნოს ფრენშიზინგის ხელშეკრულების განსხვავებულ ხასიათს;
- გაეცნოს მონაწილე მხარეთა სხვა ხელშეკრულებებისგან განსხვავებულ უფლება-მოვალეობებს.

ფრენშიზინგი ხელშეკრულებათა იმ სახეს განეკუთვნება, რომელიც შექმნა თანამედროვე ეკონომიკურმა ურთიერთობებმა. იგი შედარებით ადვილ გზებს სთავაზობს მხარეებს იმისთვის, რომ მიიღონ მეტი შემოსავალი.

ფრენშიზინგი სრულიად ახალი სამართლებრივი ინსტიტუტია ქართული სამართლისათვის.

ფრენშიზინგი ეტიმოლოგიურად გამომდინარეობს ფრანგული სიტყვა „ფრანშიზა“-დან, რაც პრივილეგიას, შელავათს ნიშნავს.

აღნიშნული ხელშეკრულებისთვის სავალდებულოა წერილობითი ფორმა, სადაც მხარეებმა „ფრენშიაინგის სისტემის“ დაწვრილებითი ინფორმაცია უნდა შეიტანონ.

(იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ.611)

△ იგი გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობაა, რომლითაც საწარმოები ორმხრივად კისრულობენ სპეციფიკურ ვალდებულებათა შესრულების გზით ხელი შეუწყონ:

- საქონლის წარმოებას;
- გასაღებას;
- მომსახურების განხორციელებას. ▼

(იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ.607)

ფრენშიაინგის მიმცემი ვალდებულია ფრენშიაინგის მიმღებს წარუდგინოს მის მიერ გამოყენებული ფორმით:

- არამატერიალური ქონებრივი უფლებები;
- სასაქონლო (სავაჭრო) ნიშნები;
- ნიშუშები;
- შეფუთვა;
- საქონლის წარმოების, შეძენის, გასაღებისა და საქმიანობის ორგანიზაციის კონცეფცია;
- ასევე სხვა ინფორმაცია, რომელიც გასაღებისათვის ხელშესაწყობათაა საჭირო;
- დაიცვას ერთიანი მოქმედების სისტემა მესამე პირების ჩარევისაგან;
- განუწყვეტლივ განავითაროს იგი.

(იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ.608(1))

მიმღები ვალდებულია:

- გადაიხადოს საზღაური;
- მიიღოს მომსახურება ან შეიძინოს საქონელი ფრენშიაინგის მიმცემის ან მის მიერ დასახელებულ პირთა მეშვეობით თუკი იგი უშუალო კავშირშია ხელშეკრულების მიზანთან. (მ.609)

ხელშეკრულების დადებისას მხარეები დაუფარავად აცნობენ ერთმანეთს ფრენშიაინგის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას (მაგ.: ფრენშიაინგის სისტემა), თუმცა ევალებათ არ გათქვან მიღებული ინფორმაცია მაშინაც კი როცა არ დაიდება ხელშეკრულება.

თუ ხელშეკრულების ხანგრძლივობა აღემატება 10 წელს, მხარეები უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულების მოშლისას დაიცვას აუცილებელი 1 წლიანი ვადა, ხოლო თუ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული არც ერთი მხარი მიერ, ხელშეკრულება გაგრძელდება 2 წლით.

(იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ. 612(2))

ფრენშიაზის ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ მხარეები ვალდებული არიან ერთმანეთს გაუწიონ ლოიალური კონკურენცია, რაც გულისხმობს ფრენშიაზის მიმღების მიმართ დაწესდეს განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში კონკურენციის აკრძალვა, რომელიც არ შეიძლება ერთ წელს აღმატებოდეს, ხოლო თუ ის საფრთხეს უქმნის პროფესიულ საქმიანობას, მიმღებს უნდა მიეცეს შესაბამისი ფინანსური კომპენსაცია, მიუხედავად ხელშეკრულების ვადის დამთავრებისა.

(იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ.613)

ფრანშიაზის მიმცემის მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულების ბრალეულად დარღვევის შემთხვევაში, მიმღებს უფლებას აძლევს კანონი, რომ შეამციროს საზღაური, რომლის ოდენობასაც დამოუკიდებელი ექსპერტი განსაზღვრავს.

(იხ. საქ. სამოქ. კოდ.მ.614)

## 4 . 7 . სესხის ხელშეკრულება

თემის შინაარსი:

- სესხის ხელშეკრულება, მისი ფორმა და ობიექტი;
- სესხის ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობები;
- ხელშეკრულების შესრულებისა და შეწყვეტის პირობები.

მიზანი:

- გაეცნოთ, რას მოიაზრებს სესხის ხელშეკრულება;
- სესხის ხელშეკრულების მხარედ ყოფნისას რა უფლებებით ისარგებლოთ და რა ვალდებულებები დაგეკისრებათ;
- შეაფასოთ, გააჩნია თუარა აღნიშნულ ხელშეკრულებას მხარეთა დაცვის მექანიზმები.

სესხის ხელშეკრულება, ხელშეკრულებთა იმ რიცხვს განეკუთვნება, რომელიც დასაბამს ადამიანთა ურთიერთობების პირველწყაროდან იღებს.

სესხის ხელშეკრულების ობიექტია:

- ფული;
- გვაროვნული ნივთი.

რომელთა საკუთრებაში გადაცემა ხდება იმ პირობით, რომ მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას უკან დააბრუნოს იმავე – სახის, ხარისხის და რაოდენობის ნივთი.

(იხ. საქ. სამოქ. კოდ.მ. 623)

სესხის ხელშეკრულებით:

- გამსესხებელი მსესხებელს საკუთრებაში გადასცემს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ასევე უფლება აქვს დაუყონებლივ მოითხოვოს ვალის დაბრუნება თუ მსესხებელის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად უარესდება, რითაც საფრთხე ექმნება სესხის დაბრუნების მოთხოვნას;

- მსესხებელი ვალდებულებას იღებს დააბრუნოს იმევე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

(იხ. საქ. სამოქ. კოდ მ.623, მ.627)

სესხის ხელშეკრულების ფორმა შეიძლება იყოს:

- ზეპირი; (ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით)
- წერილობითი;
- სასყიდლიანი; (პროცენტი)
- უსასყიდლო.

(იხ. საქ. სამოქ. კოდ მ.624)

იმ შემთხვევაში, თუკი მხარეებს არ აქვთ გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა, კანონი ასეთ ვადად აწესებს 3 თვეს, რაც გულისხმობს, რომ მოვალეს უფლება აქვს მოთხოვნიდან 3 თვეში შეასრულოს ვალდებულება, ხოლო თუკი მხარეთა მიერ გათვალისწინებულია პროცენტი, მაშინ ვალდებულების ადრე შესრულება უნდა მოხდეს მხარეთა წინასწარი შეთანხმების ან შემდგომი თანხმობის საფუძველზე.

(იხ. საქ. სამოქ. კოდ მ.626(2))

კანონი აზღვევს გამსესხებელს და აძლევს უფლებას მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, მაშინათვე, როცა მსესხებელის ქონებრივი მდგომარეობა უარესდება და ამით საფრთხე ექმნება სესხის დაბრუნებას. ეს უფლება მაშინაც კი არსებობს, როცა ასეთი საფრთხე ხელშეკრულების დადების დროსაც არსებობდა, თუმცა ეს არ იცოდა გამსესხებელმა.

(იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ.627)

## 4 . 8 . გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულება

თემის შინაარსი:

- გადაზიდვის ხელშეკრულება;
- გადაზიდვის ხელშეკრულების ფორმალური მხარე;
- ხელშეკრულების მონაწილე პირები და მათი უფლებამოსილებები.

მიზანი:

- გაეცნოთ გადაზიდვის ხელშეკრულების ადგილს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში;
- გქონდეთ ინფორმაცია თქვენი უფლება-მოვალეობებზე გადაზიდვის ხელშეკრულებაში მონაწილეობისას.

გადაზიდვის ხელშეკრულებით გადამზიდველი შეთანხმებული საზღაურის გადახდით ვალდებულია:

- გადაიტანოს ტვირთი;
- დანიშნულების ადგილზე გადაიყვანოს მგზავრი.

გადამზიდველი პასუხს აგებს:

- მგზავრისათვის მიყენებული ზიანისათვის;
- ბარგის დაზიანების ან დაკარგვისათვის;
- თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის, მგზავრის მიერ ან მისი ბარგით, პასუხისმგებლობა არ დადგება.

(იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ.669)

გადაზიდვის ხელშეკრულება ფორმდება ზედნადების (ან სხვა დოკუმენტის) სახით, რომელიც სამ ცალად დგება და ხელს აწერენ გამგზავნი და გადამზიდველი, რომლებსაც ეძლევათ ზედნადების თითო პირი, ხოლო ზედნადების მესამე პირი ტვირთს თან ერთვის.

(იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ.673(1))

ტვირთის მიღებისას გადამზიდველი პასუხისმგებელია:

- ტვირთის ცალობრივი რაოდენობის, მათი ნიშნებისა და ნორმების ზედნადებთან მითითებულ ფარგლებში შემოწმებაზე;

(იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ. 676(1))

- ტვირთისა და მისი შეფუთვის გარეგნული მდგომარეობის შემოწმებაზე;

(იხ. საქ. სამოქ. კოდ.მ. 676(1))

- ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა თუ დაზიანებაზე თუ ტვირთი დაზიანდა ან დაიკარგა მისი მიღებიდან ჩაბარებამდე დროის შუალედში;

(იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ.686(1))

- მიტანის ვადის გადაცილებისათვის.

(იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ.686(1))

გამგზავნი უფლებამოსილია:

- განკარგოს ტვირთი;
- მოითხოვოს გადაზიდვის შეწყვეტა;
- მოითხოვოს, გამგზავნმა არ შეცვალოს მიწოდების ადგილი, ტვირთი, არ მისცეს სხვა პირს, გარდა ზედნადებში აღნიშნულისა;

(იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ.680(1))

## 4 . 9 . სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულება

### თემის შინაარსი:

- სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულება;
- ექსპედიტორისა და შემკვეთის უფლება-მოვალეობები.

### მიზანი:

- გაეცნოთ ექსპედიციის ხელშეკრულებას;
- ასევე გაეცნოთ ექსპედიტორისა და შემკვეთის ურთიერთობებს.

„სატრანსპორტო ექსპედიცია“ განეკუთვნება კომპლექსურ მომსახურებათა რიცხვს. აღნიშნული ხელშეკრულებას აწესრიგებს სამოქალაქო სამართლის ნორმები, რომლის მიხედვითაც:

- ექსპედიტორი კისრულობს თავისი სახელითა და შემკვეთის ხარჯზე განახორციელოს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებანი;
- შემკვეთი მოვალეა გადაიხადოს შეთანხმებული პროვიზია.

### (იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ.730 (1))

შემკვეთმა ექსპედიტორის მოთხოვნით დროულად უნდა მიაწოდოს მას ცნობები ტვირთის შესახებ, უნდა მისცეს მითითებები გადაზიდვის დოკუმენტების გასაფორმებლად, ასევე ინფორმაცია საფრთხეშემცველ ტვირთზე და უსაფრთხოების ზომებზე.

### (იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ.732 (1,2))

განსაკუთრებული გასამრჯელოს გადახდისას შემკვეთს შეუძლია ექსპედიტორს მოსთხოვოს ტვირთის ცალობრივი შემოწმება მისი მიღებისას.

### (იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ.733)

იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთისაგან მიიღებს მოვალეობას, ექსპედიტორს ეკისრება ტვირთის დაზღვევა, სხვა შემთხვევაში იგი მოვალეა დააზღვიოს ტვირთი მხოლოდ ჩვეულებრივი პირობებით.

### (იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ.734)

აღნიშნული ხელშეკრულებით პროვიზია გადახდილ უნდა იქნას მას შემდეგ, როდესაც სატრანსპორტო ორგანიზაციას ექსპედიტორი გადასცემს ტვირთს.

### (იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ.743)

ექსპედიტორი ექსპედიციის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობებისთვის, ჩვეულებრივ, მაშინ აგებს პასუხს თუ მას, ან მის დამხმარეს მიუძღვის რაიმე ბრალი.

### (იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ.740)

## 4 . 10 . უშუამავლობის ხელშეკრულება

### თემის შინაარსი:

- საშუამავლო საქმიანობა და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმები;
- საშუამავლო ხელშეკრულების მოშლა;
- ექსკლუზიური დავალება.

### მიზანი:

- გაეცანით საშუამავლო საქმიანობას;
- ასევე გაეცანით შემკვეთისა და მაკლერის უფლება-მოვალეობებს;
- ექსკლუზიური დავალების შეზღუდვები.

შუამავლობის ხელშეკრულების საგანია საშუამავლო საქმიანობა და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება.

პირს, რომელიც საშუამავლო საქმიანობას და მასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ეწოდება – მაკლერი, რომელიც ახორციელებს მხოლოდ ფაქტობრივ და არა იურიდიულ საქმიანობას.

პირი, რომელიც გასამრჯელოს სხვას ჰპირდება ხელშეკრულების დასადავად გაწეული შუამავლობისათვის, ვალდებულია გადაიხადოს გასამრჯელო მაშინ, თუ ამ შუამავლობის შედეგად დაიღო ხელშეკრულება, თუმცა გასამრჯელო შეიძლება შეთანხმებულ იქნეს მაკლერის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იმ მომსახურებისთვის, რომელიც არ შედის საშუამავლო საქმიანობაში, გასამრჯელო შეიძლება შეთანხმებულ იქნეს იმისგან დამოუკიდებლად დაიდება თუ არა ხელშეკრულება.

### (იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ.744, მ.745)

თუ ხელშეკრულება იდება გადადების პირობით, გასამრჯელო მხოლოდ ამ პირობის დადგომის შემდეგ შეიძლება იქნეს მოთხოვნილი. თუ გასამრჯელოს ოდენობა განსაზღვრული არ არის, შეთანხმებულად ითვლება ჩვეულებრივად მოქმედი გასამრჯელო.

### (იხ. საქ. სამოქ. კოდ მ.744)

საშუამავლო ხელშეკრულება ნებისმიერ დროს შეიძლება მოიშალოს ვადის დაუცველად, თუკი ხელშეკრულებით ასეთი ვადა არ იყო განსაზღვრული.

### (იხ. საქ. სამოქ. კოდ მ.747(1))

**ექსკლუზივი** – ლათინური სიტყვაა და ამოშლას, გამორიცხვას ნიშნავს.

ექსკლუზიური დავალებით მაკლერი იძენს უფლებას მოსთხოვოს შემკვეთს, რომ მან განსაზღვრული დროის განმავლობაში არ დადოს ხელშეკრულება სხვა მაკლერთან, წინააღმდეგ შემთხვევაში უჩნდება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ამ შეზღუდვას შემკვეთი თითონ იწესებს, სანაცვლოდ კი მაკლერისგან ითხოვს რომ მან ხელი შეუწყოს ხელშეკრულების დადასტურებას.

### (იხ. საქ. სამოქ. კოდ მ.746(1))

ექსკლუზიური დავალება შეიძლება მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლით მოიშალოს. ექსტრინიკური ვადის გასვლის შემდეგ იგი შეიძლება ნებისმიერ დროს მოიშალოს.

(იხ. საქ. სამოქ. კოდექსი მ.747(2))

დაუშვებელია მაკლერისთვის გასამრჯელოს მიცემა ან ხარჯების ანაზღაურება, თუ მესამე პირთან დადებული ხელშეკრულება ეხება:

- მაკლერის კუთვნილ საგანს;
- მაკლერი ის იურიდიული პირი ან საზოგადოებაა, რომელშიც სამართლებრივად ან ეკონომიკურად მონაწილეობს მესამე პირი;
- მესამე პირი ის იურიდიული პირი ან საზოგადოებაა, რომელშიც მაკლერი სამართლებრივად მონაწილეობს;
- მაკლერი მესამე პირთან სამსახურებრივ ან შრომით ურთიერთობაშია;
- მაკლერი მესამე პირის მეუღლეა.

მაკლერი კარგავს გასამრჯელოს ან ხარჯების ანაზღაურების უფლებას თუ იგი მოქმედებდა ხელშეკრულების შინაარსის საწინააღმდეგოდ მესამე პირის სასარგებლოდ.

(იხ. საქ. სამოქ. კოდექსი მ.748(1,3))

## 4 . 11 . ინტელექტუალური სამართლის ზოგადი მიმოხილვა

თემის შინაარსი:

- საავტორო სამართალი;
- გამოგონება და პატენტი;
- სავაჭრო ნიშანი;
- დიზაინი.

მიზანი:

- გაეცნოთ ინტელექტუალური სამართლის სფეროს, რომლის ნორმები იცავს სხვადასხვა სახის ინტელექტუალურ პროდუქტებს;
- ვნახოთ, რაზე ვრცელდება საავტორო უფლებები და რაზე არა;
- ასევე, რას ჩათვლის კანონი გამოგონებად და რას არა.

ინტელექტუალური სამართალი იცავს:

- ლიტერატურულ, ხელოვნების და სამეცნიერო ნაწარმოებთან დაკავშირებულ უფლებებს;
- გამოგონებას;
- სამეცნიერო აღმოჩენებს;
- სასაქონლო (სავაჭრო ნიშნებს);
- საფირმო დასახელებებს;
- კომერციულ აღნიშვნებს;

➤ დიზაინს

➤ სხვა მომიჯნავე ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს.

თითოეული ეს სფერო წესრიგდება საქართველოს სხვადასხვა კანონებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

❑ ლიტერატურულ, ხელოვნების და სამეცნიერო ნაწარმოებებზე, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალურ შემოქმედებით საქმიანობის შედეგს ვრცელდება - საავტორო უფლება, იმის მიუხედავად თუ რა ჟანრის, ფორმის, მოცულობის, დანიშნულების და ავტორიანობისაა. მხოლოდ აუცილებელია არსებობდეს ობიექტური ფორმით.

(“კანონი საავტორო დამომიჯნავე უფლებების შესახებ” მ.5 91))

საავტორო უფლება წარმოიშვება ნაწარმოების შექმნისთანავე (მხოლოდ უნდა იძლეოდეს აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას) და მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ 70 წლის განმავლობაში.

(“კანონი საავტორო და დამომიჯნავე უფლებების შესახებ” მ.31(1))

საავტორო უფლებები არ ვრცელდება: იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემაზე, კონცეფციაზე, პრინციპებზე, აღმოჩენებზე, ფაქტებზე, მაშინაც კი თუ იგი გამოხატული, აღწერილი და ხორცშესხმულია, ასევე ოფიციალურ დოკუმენტებზე (კანონი...), სახემწიფო სიმბოლოებზე, ინფორმაციაზე ფაქტების და მოვლენების შესახებ.

(“კანონი საავტორო და დამომიჯნავე უფლებების შესახებ” (მ.5(3); მ.8(1))

❑ გამოგონებაზე უფლებებს იცავს „საქართველოს საპატენტო კანონი“.

იმისთვის, რომ გამოგონების დაპატენტება მოხდეს აუცილებელია აკმაყოფილებდეს კანონის მოთხოვნებს:

- სიახლეს;
- საგამომგონებლო ღონეს;
- სამრეწველო გამოყენებადობას.

(“საქართველოს საპატენტო კანონი”. მ.12(1)):

გამოგონების პატენტის მოქმედების ვადაა 20 წელი საქპატენტში განაცხადის შეტანიდან გამოგონებად არ მიიჩნევა: აღმოჩენა, სამეცნიერო თეორია, მათემატიკური მეთოდი, მხატვრული ქმნილება, ალგორითმი, კომპიუტერული პროგრამა, აღზრდის, სწავლების მეთოდი, ენის გრამატიკული სისტემა, გონებრივი ოპერაციების შესრულების მეთოდი, თამაშობის გათამაშების წესები, მართვის მეთოდები, ნაგებობის, შენობის, ტერიტორიის დაგეგმარების პროექტი და სქემა, ინფორმაციის წარდგენა.

(“საქართველოს საპატენტო კანონი” მ.16(1))

❑ სავაჭრო (სასაქონლო) ნიშანი – არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორესგან.

**სიმბოლო შეიძლება იყოს** – სიტყვა ან სიტყვები, ადამიანის სახელი, ასოები, ციფრები, ბგერები, გამოსახულება, სამგანზომილებიანი ფიგურა, მათ შორის ფორმა ან შეფუთვა, ისევე, როგორც საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერის ან ფერთა კომბინაციის გამოყენებით.

**“საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ” (მ.3(2))**

❑ **დიზაინი** - ეს არის პროდუქტის ან მისი ნაწილის გამოსახულება, რომელიც მხოლოდ მაშინ ექვემდებარება დაცვას როდესაც მას გააჩნია:

- სიახლე; და
- ინდივიდუალურობა.

**“საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ” მ.3(1,4))**

საქპატენტში შეტანილ დიზაინზე გაიცემა – **მოწმობა**.

განმცხადებელი უფლებამოსილია რეგისტრაციაში გაატაროს დიზაინი ერთი ან რამდენიმე 5 წლიანი პერიოდით, მაგრამ არა უმეტეს 25 წლისა.

**“საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ” მ. 5(2,3))**